ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ბ. გოგოლაშვილს

შპს „ჯეოესტი“-ს თავმჯდომარის მ. ქუჩულორიას

განცხადება

ქაზბების გამზირის №34-ში (საკ.კოდი №01.14.03.042.144) მშენებარე მრავალბინიანი სახლის პროექტმა განიცადა რამოდენიმე კორექტირება.

2012 წელს ქ. თბილისის მერიის №623 20.03.12 განკარგულებით საპროექტო მიწის ნაკვეთს გაეზარდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=4.6-მდე. რიგი მიზეზების გამო კოეფიციენტი ბოლომდე ვერ იქნა ათვისებული და ჩვენივე მოთხოვნით მერიის №1280 17.05.12 განკარგულებით კ2=4.4-ს.

ამის შემდეგ კვლავ წარმოიშვა რიგი პრობლემებისა კორპუსის დამთავრებასთან დაკავშირებით, რომლის გადაჭრაც მოითხოვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=4.7.

გთხოვთ განიხილოთ ჩვენი საკითხი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განგვისაზღვროთ კ2=4.7-ით.

შპს „ჯეოესტი“-ს თავმჯდომარე მ. ქუჩულორია

19. 08. 2013

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 330

„ 16 „ მაისი 2008 წ.

ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 2008 წლის 2 მაისის №05-08 ოქმის, „საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=4,3.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქის მთავარ არქიტექტორს მ. მახათაძეს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. არაგვის გამზირი №1) გაცნობიდან ერთ თვეში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 623

« 20 » მარტი 2012 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 7 მარტის სხდომის №9 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადასაკეთებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,6.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160. ჯ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 23 78 170. ფაქსი: (+995 32) 23 78 200

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1280

„ 17 „ მაისი 2012 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადაკეთების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 11 მაისის სხდომის №18 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის არსებული ტერასების ნაწილის დახურვისა და სხვენის მანსარდად გადასაკეთებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,4.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE58LB0125152101627957.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200